

## პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრენინგი


“შერეული/ჰიბრიდული სწავლება-სწავლა”

11-15 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით ჩაატარა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული



*პრეზენტაცია “მუდლის” დანერგვის მნიშვნელობის შესახებ*

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ჩაატარა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერტიფიცირებული ტრენინგ კურსი “შერეული/ჰიბრიდული სწავლება-სწავლა“.



*ე-პორტფოლიოს პრეზენტაცია*

ზაზა ცოტნიაშვილმა შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, გრაცის იოანეუმის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (FH JOANNEUM) (ავსტრია), 2018 წლის ნოემბერში.

ტრენინგი მიზნად ისახავდა სტუ-ში შერეული/ჰიბრიდული სწავლება-სწავლის პოპულარიზაციასა და განვითარებას. ხუთდღიანი ტრენინგის კურსი ითვალისწინებდა 10 საათს: 5 დღის განმავლობაში დღეში 2-2 სთ და 20 სთ ინდივიდუალური სამუშაო (1 ECTS კრედიტი).



*საუბარი შერული სწავლების უპირატესობაზე*

ტრენინგის მონაწილეებმა სტუდენტების სწავლის გააქტიურების მიზნით შეისწავლეს შერეული/ჰიბრიდული სწავლება-სწავლის მეთოდური და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და “Moodle”-ის დემოვერსიის გამოყენებით პრაქტიკულად განახორციელეს სასწავლო პროცესის სიმულაცია.



*ფინალური პროექტის პრეზენტაცია*

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებმა წარმოადგინეს შესრულებული დავალებები ტრენერებისა და სხვა მონაწილეების წინაშე და შეაფასეს კურსი.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.



*სამომავლო გეგმის გაზიარება - შერული სწავლების იმპლიმენტაცია*



*ტრენინგის დასასრულს*